

დადგენილება # _____

„წყალმომარაგების ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2017 წლის 10 აგვისტოს №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია ადგენს:

მუხლი 1.

„წყალმომარაგების ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2017 წლის 10 აგვისტოს №21 დადგენილების (ვებ-გვერდი, 21/08/2017, 300320000.16.009.016222) პირველი პუნქტით დამტკიცებულ „წყალმომარაგების ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიაში“ (დანართი №1) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) 29-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საწარმო ვალდებულია კომისიაში სატარიფო განაცხადი წარადგინოს არაუგვიანეს ტარიფის გაანგარიშების წლის 1 ივლისისა. თუ აღნიშნული თარიღი ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ სატარიფო განაცხადი წარდგენილი უნდა იქნეს მომდევნო სამუშაო დღეს.“;

ბ) 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 4¹ პუნქტი:

„4¹. საწარმოს უფლება აქვს დააზუსტოს ან/და განაახლოს სატარიფო განაცხადის ფარგლებში კომისიაში შემოტანილი ინფორმაცია სატარიფო განაცხადის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 90 დღის ვადაში. თუ მოცემული თარიღი ემთხვევა არასამუშაო დღეს, აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა. ამ ვადის დარღვევით საწარმოს ინიციატივით წარმოდგენილი ინფორმაცია სატარიფო რეგულირების მიზნებისათვის მხედველობაში არ მიიღება.“;

გ) 30-ე მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს ამ მეთოდოლოგიის ფარგლებში პირველად უდგინდება ტარიფი, კომისია უფლებამოსილია შესაბამისი ტარიფის მოქმედების ვადა განსაზღვროს პირველი რეგულირების პერიოდის ბოლომდე.“.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე

ირინა მილორავა

კომისიის წევრი

გოჩა შონია

კომისიის წევრი

გიორგი ფანგანი

კომისიის წევრი

მაია მელიქიძე

კომისიის წევრი

დავით ნარმანია